

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 1

ქ.ვანი თავისუფლების N65

7 დეკემბერი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ამირან ტალახაძე, ეთერ ჭიჭინაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე.

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: ვლადიმერ ჭვალაძე და თორნიკე ერისთავი.

დასწრების ფურცელი თან ერთვის / დანართი: N1/

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის გეგმიური სხდომა 2017 წლის 7 დეკემბერი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: რ.არველაძე/

კომისიის თავმჯდომარემ დასამტკიცებლად წარადგინა სხდომის დღის წესრიგი:

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მომხრე-8

წინააღმდეგი- არა

/დანართი N 2

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს გააცნომუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება და განმარტა, რომ ეს დებულება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის უფლებამოსილებას, სტრუქტურასა და თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობებს.

1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ, შრომით და სხვა საკითხებს;

ბ) შეისწავლის და საკრებულოს წარუდგენს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ფუნქციონირების შესახებ;

გ) განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამების პროექტების შესახებ;

დ) განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლით თვითმმართველ ერთეულზე დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარულ-ეპიდემოლოგიურ მომსახურების მუნიციპალური პროგრამების პროექტების შესახებ;

ე) განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამების პროექტების შესახებ;

ვ) განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსების შესახებ;

ზ) ამზადებს წინადადებებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის ღონისძიებების გატარების მიზნით; ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების წესებისა და პირობების დადგენისათვის;

თ) ამზადებს წინადადებებს ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარების, ადაპტირებისა და აღჭურვისათვის ღონისძიებათა დაგეგმვის მიზნით;

თ) ამზადებს წინადადებებს საკრებულოსათვის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური დაცვის დამატებითი შეღავათებისა და წახალისების მიზნით;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით, განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

კ) ისმენს ინფორმაციას, ახსნა-განმარტებას შესაბამის სფეროებში მოქმედი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;

ლ) ახორციელებს საკრებულოს რეგლამენტით და საკრებულოს დავალებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით ვალდებულნი არიან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარუდგინონ მას შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა მასალები, დაესწრონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებზე და წარმოადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

ასევე კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილება:

კომისიის წევრთა გადანაწილებას სამუშაო ჯგუფებში კომისიის წევრთა სურვილის გათვალისწინებით ახდენს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის წევრი შეიძლება იყოს კომისიის რამოდენიმე სამუშაო ჯგუფის წევრი.

სამუშაო ჯგუფის ფუნქციაა თავის უფლებამოსილების ფარგლებში განიხილონ და მოამზადონ კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხები.

4. კომისიაში იქმნება შემდეგი სამუშაო ჯგუფები:

ა) ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

ბ) სოციალურ საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება კომისიის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

- ეთერ ჭიჭინაძე
- თენგიზ დვალიშვილი
- გელა ღვითიძე
- ამირან ტალახაძე

სოციალურ საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

- დავით ხარძეიშვილი
- ვლადიმერ ჭვალაძე
- გიგა გოგიბერიძე
- კობა ძაგნიძე
- თორნიკე ერისთავი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-8

წინააღმდეგი- არა

/დანართი N 2

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე